ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური სახდელის დაკისრებაზე უარის თქმის შესახებ

მეოთხე დისციპლინური კოლეგია ასრულებს რა განხილვის კოლეგიის ფუნქციას, საქმეს განიხილავს შემდეგი შემადგენლობით:

ემზარ პაქსაძე – კოლეგიის თავმჯდომარე

იური ვაზაგაშვილი – კოლეგიის წევრი

ირაკლი კორძახია – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – ნ. ქ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 13.05.2011

საჩივრის რეგისტრაციის №047/11

გადაწყვეტილების მიღების თარიღი: 18.10.2011

ადვოკატი, რომლის მიმართაც არის საჩივარი შემოტანილი – შ. შ./ სიითი №/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ შ. შ. მიმართ ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება.

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2011 წლის 13 მაისს მოქალაქე, ნ. ქ. საჩივრით მომართა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას და მოითხოვა ადვოკატ შ. შ. დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ 2005 წელს მისთვის ცნობილი გახდა მისი დედის, მ. ს. კუთვნილი ბინის 1996 წელს დაყადაღების ფაქტი. 2009 წელს განმცხადებელმა გადაწყვიტა საქმე ეწარმოებინა სასამართლოში ყადაღის მოხსნის მიზნით, რისთვისაც დაუკავშირდა ადვოკატ შ. შ.. საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ადვოკატს მის ხელთ არსებული დოკუმენტაცია გადასცა 2005 წლის მდგომარეობით.

1.3 საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ ადვოკატმა საქმის სირთულის გათვალისწინებით მომსახურების სანაცვლოდ მოითხოვა 620 (ექვსას ოცი) აშშ დოლარის გადახდა. განმცხადებლის მითითებით, მან სთხოვა ადვოკატს მოთხოვნილი ფასის შემცირება, რაზედაც პასუხად მიიღო, რომ ის წარმოადგენდა მაღალი დონის ადვოკატს და ამიტომ უცნაური იქნებოდა გასამრჯელოდ 500 (ხუთასი) აშშ დოლარზე ნაკლები თანხა მოეთხოვა.

1.4 საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ 120 (ას ოცი) აშშ დოლარი ადვოკატს გადასცა სასამართლოში სარჩელის შეტანისას, ხოლო დარჩენილი 500 (ხუთასი) აშშ დოლარი უნდა გადაეცა დამაკმაყოფილებელი სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევაში.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, მან სურვილი გამოთქვა ადვოკატთან წერილობითი ფორმით გაეფორმებინა მომსახურების ხელშეკრულება, რაზედაც ადვოკატმა განუცხადა, რომ სანერვიულო არაფერი ჰქონდა, რადგან ძირითადი თანხის გადახდა საქმის წარმატებით დასრულების შემთხვევაში მოხდებოდა.

1.6 საჩივრის ავტორის ახსნა–განმარტების თანახმად, ადვოკატმა სასამართლო პროცესი მოიგო. სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, მ. ს. სახელზე რიცხული ქონებისათვის ყადაღის მოხსნის შესახებ.

1.7 საჩივრის ავტორის განცხადებით, საბოლოო სასამართლო გადაწყვეტილების მიღებისთანავე, იგი ადვოკატთან ერთად წავიდა საჯარო რეესტრში და გზად პროკრედიტ ბანკის ერთ–ერთ ფილიალში ადვოკატს გადასცა თანხის დარჩენილი ნაწილი, 500 (ხუთასი) აშშ დოლარი.

1.8 საჩივრის ავტორის განმარტებით, სამი დღის შემდეგ საჯარო რეესტრის მიერ გაცემული ცნობიდან შეიტყო, რომ მ. ს. კუთვნილ ბინას ყადაღა არ მოხსნია ვინაიდან იმ დროინდელი მდგომარეობით ამ ქონებაზე ყადაღა რეგისტრირებული არ იყო. განმცხადებელმა აღნიშნული შეატყობინა ადვოკატს, რომელმაც ვერ შესძლო რაიმე ახსნა–განმარტების მიცემა, მაგრამ დახმარება შესთავაზა ბინის განმცხადებლის სახელზე გაფორმებაში.

1.9 საჩივრის ავტორის განმარტებით, მან დახმარებისთვის მიმართა ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას, სადაც განუმარტეს, რომ ბინას ყადაღა მოეხსნა 2006 წელს მიღებული დებულების თანახმად.

1.10 საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის იურისტი დაუკავშირდა ადვოკატ, შ. შ. ადვოკატმა საჩივრის ავტორთან საუბრისას თანხის ნახევრის

დაბრუნებაზე თანხმობა განაცხადა იმ შემთხვევაში, თუკი განმცხადებელი მიუყვანდა მას ახალ კლიენტს.

1.11 საჩივრის ავტორის განმარტებით, მან მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს შ. შ. თანხის დაკისრების მოთხოვნით და აღნიშნული საქმე მის სასარგებლოდ დასრულდა.

1.12 საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ მიმართა სააღსრულებო ბიუროს, რამაც შედეგი არ გამოიღო. განმცხადებელმა გადაწყვიტა მიემართა პროკურატურისათვის. საჩივრის ავტორის განცხადებით, შ. შ. აღმასრულებელ ი.ლ. დაჰპირდა, რომ გადაიხდიდა 400 (ოთხას) აშშ დოლარს. დანაპირების შეუსრულებლობის შემდეგ განმცხადებელმა კვლავ გადაწყვიტა მიემართა პროკურატურისათვის, რის შემდეგაც ადვოკატი 200 (ორას) აშშ დოლარის გადახდას შეჰპირდა, თუმცა ამ ფაქტის სანოტარო წესით გაფორმებაზე უარი განაცხადა.

1.13 საჩივრის ავტორის განმარტებით, პროკურატურამ უარი განაცხადა საქმის აღძვრაზე.

1.14 საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ადვოკატს შესაძლებლობა ჰქონდა მისთვის ზიანი აენაზღაურებინა როდესაც მოახდინა მის სახელზე რიცხული უძრავი ქონების რეალიზაცია, რაც არ განახორციელა.

1.15 2011 წლის 6 ივნისს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე გამოცხადდა საჩივრის ავტორი და დაადასტურა საჩივარში მითითებული გარემოებები.

1.16 2011 წლის 20 სექტემბერს განხილვის კოლეგიის სხდომაზე გამოცხადდა საჩივრის ავტორი, მან მხარი დაუჭირა წარდგენილ საჩივარსა და დამატებით განმარტა, რომ 2009 წლის ნოემბერში შესთავაზა ადვოკატმა საჩივრის ავტორს მისთვის ეშოვა კლიენტი, რომლისაგანაც მიღებული საზღაურის ნაწილს მას გადასცემდა.

1.17 საჩივრის ავტორის განმარტებით, შ. შ. მიმართა, როგორც ადვოკატს და არც მას უცნობებია, რომ ადვოკატთა ასოციაციის წევრობა შეწყვეტილი ჰქონია.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა, შ. შ. 2011 წლის 13 ივნისს ეთიკის კომისიაში წერილობით წარმოადგინა ახსნა–განმარტება.

2.2 ადვოკატი განმარტებით, განმცხადებლის საჩივარში მოყვანილი ფაქტები თანხის ოდენობასთან დაკავშირებით სწორია, თუმცა სხვა გარემოებები დამახინჯებულად არის გადმოცემული.

2.3 ადვოკატი განმარტავს, რომ შეხვედრისას ნ. ქ. აუხსნა, რომ სანოტარო აქტის საფუძველზე ახორციელებდა მისი დედის წარმომადგენლობას. კლიენტს სურდა ბინაზე ყადაღის გაუქმება და შემდეგ ამ ბინის დედის სახელიდან საკუთარ სახელზე გადაფორმება.

2.4 ადვოკატი აღნიშნავს, რომ ნ. ქ. იგი დაარწმუნა წარმოდგენილი დოკუმენტაციის სისწორეში. შესაბამისად, ადვოკატს დოკუმენტების სისწორეში ეჭვი არ შეუტანია.

2.5 ადვოკატი ახსნა–განმარტებაში უარყოფს განცხადებას იმის თაობაზე, რომ გასამრჯელოს მინიმალური ოდენობა 500 (ხუთას) აშშ დოლარს შეადგენს.

2.6 ადვოკატი განმარტავს, რომ ნ. ქ. არც ხელშეკრულების წერილობითი ფორმით გაფორმება შეუთავაზებია და არც გასამრჯელოს თანხის ოდენობის შემცირება უთხოვია. თანხის ერთიანად გადახდის ნაცვლად, საჩივრის ავტორმა ადვოკატს შესთავაზა 120 (ასოცი) აშშ დოლარის გადახდა სასამართლოში განცხადების შეტანისას, ხოლო 500 (ხუთასი) აშშ დოლარის გადახდა ყადაღის მოხსნის შესახებ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლისას.

2.7 ადვოკატის განმარტებით, იმის გამო რომ ვერ მოხერხდა მასზე ნოტარიული წესით მ. ს. მინდობილობის გაფორმება, სასამართლოში განცხადება შეტანილ იქნა ნ. ქ. მინდობილობის საფუძველზე. შემდგომში სასამართლო უწყებათა და საჯარო რეესტრის ცნობათა მიღება ხდებოდა ნ. ქ. სახელზე.

2.8 ადვოკატი აღნიშნავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ საჯარო რეესტრში შეტანილი განჩინების პასუხად შეიტყო, რომ ხანდაზმულობის მოტივით, მ. ს. ბინაზე ყადაღა მოიხსნა, რის შესახებაც მან პირადად აცნობა ნ. ქ. ამ გარემოების შეტყობის შემდეგ განმცხადებელმა ადვოკატს უწოდა თაღლითი და მოითხოვა გადახდილი თანხის უკან დაბრუნება.

2.9 ადვოკატის განმარტებით, მოცემულ მომენტში მას ფინანსური სიძნელეების გამო არ შეუძლია ნ. ქ. დაუბრუნოს მისი კუთვნილი თანხა.

2.10 ადვოკატის განმარტებით, მან მართლაც შესთავაზა განმცხადებელს რომ თუკი ვინმე მის ნაცნობს ესაჭიროებოდა იურიდიული დახმარება, ადვოკატი მას დაეხმარებოდა, ხოლო თანხას, გასამრჯელოს სახით ნ. ქ. მიიღებდა.

2.11 ადვოკატი განმარტავს, რომ მას დაუკავშირდა ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის იურისტი, რომელმაც განუცხადა, რომ თანხის სრულად დაუბრუნებლობის შემთხვევაში მიმართავდა სამართალდამცავ ორგანოებს.

2.12 ადვოკატის ახსნა–განმარტების თანახმად, ნ. ქ. სარჩელით მიმართა სასამართლოს შ. შ. წინააღმდეგ. ამ უკანასკნელს არ წარმოუდგენია შესაგებელი და არც გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება გამოუყენებია. ადვოკატის მეუღლის სახელზე რიცხულ ბინაში აღმასრულებლის მიერ დაყადაღებულ იქნა ყველა მოძრავი ნივთი, თუმცა, იმის გამო რომ

აღნიშნული ქონება გახლდათ გირავნობის საგანი, შესაბამისად კანონის საფუძველზე ყადაღა მოეხსნა.

2.13 ადვოკატის განმარტებით, აღმასრულებელ ი. ლ. შუამავლობით დაუკავშირდა ნ. ქ. და ზეპირსიტყვიერად შეუთანხმდა, რომ ეტაპობრივად გადაუხდიდა 200–200 (ორას–ორას) აშშ დოლარს, სულ 400 (ოთხას) აშშ დოლარს, რის გამოც ნ. ქ. უნდა შეეწყვიტა იძულებითი აღსრულება. ადვოკატი აღნიშნავს, რომ შემდგომ სატელოფონო საუბრისას ნ. ქ. უარი განაცხადა 200 (ორასი) აშშ დოლარის მიღებაზე და მოითხოვა 800 (რვაასი) აშშ დოლარის გადახდა. აღნიშნული მოთხოვნის საპასუხოდ ადვოკატმა განუცხადა მას, რომ შეეძლო იძულებითი წესით აღესრულებინა სააღსრულებო ფურცელი.

2.14 ადვოკატი განმარტავს, რომ ნ. ქ. განცხადება შეიტანა პოლიციაში თაღლითობის ბრალდებით. ადვოკატის დაკითხვის შემდეგ განმცხადებელს გაეცა პასუხი, რომ ადვოკატის ქმედებაში არ აღინიშნებოდა დანაშაულის ნიშნები.

2.15 ადვოკატი განმარტავს, რომ საჩივრის ავტორისათვის საჯარო რეესტრიდან ცნობილი გახდა ადვოკატის მიერ უძრავი ქონების რეალიზაციის ფაქტი, თუმცა, აღნიშნული ქონება წარმოადგენდა კლიენტთა საკუთრებას, რომელიც აღრიცხული იყო მის სახელზე, როგორც წარმომადგენელზე.

2.16 ადვოკატის განმარტებით, მასსა და საჩივრის ავტორს შორის შეთანხმებას მხოლოდ ნ. ქ. მტრულმა დამოკიდებულებამ შეუშალა ხელი.

2.17 ადვოკატი მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ ფინანსური პრობლემების გამო ვერ შესძლო ადვოკატის საწევროს გადახდა, რის გამოც იგი გარიცხული იყო ადვოკატთა ასოციაციიდან 2008–2009 წლებში. ადვოკატის განცხადების საფუძველზე 2010 წლის იანვარში იგი აღადგინეს წევრად. სადავო ფაქტს ადგილი ჰქონდა 2009 წელს. შესაბამისად, ადვოკატი ანდობს ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიას იმსჯელოს საკითხზე, თუ რამდენად არის იგი უფლებამისილი განიხილოს აღნიშნული საკითხი, მისი როგორც ადვოკატის მიმართ.

2.18 2011 წლის 20 სექტემბერს განხილვის კოლეგიის სხდომაზე გამოცხადდა ადვოკატი და დამატებით განმარტა, რომ საჩივრის ავტორმა დაარწმუნა ბინაზე ყადაღის არსებობის თაობაზე, ხოლო მან საჭიროდ არ ჩათვალა გადამოწმება იფიქრა რა, რომ სასამართლო მოითხოვდა უძრავი ქონების ახალ ამონაწერს. თავის მხრივ, სასამართლომ ისე გამოტანა გადაწყვეტილება უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების თაობაზე, რომ არ მოითხოვა საჯარო რეესტრის ახალი ამონაწერი.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია

3.1 2011 წლის 13 ივნისს საპროცესო კოლეგიამ გამოიტანა გადაწყვეტილება ადვოკატ შ. შ. მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2 საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების დადასტურების შემთხვევაში ადვოკატ შ. შ. მიერ შეიძლება დარღვეულად ჩაითვლილიყო ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე–8 მუხლის მე–5 პუნქტი.

3.3 საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ შ. შ. არ განახორციელა კვალიფიციური და კეთილსინდისიერი წარმომადგენლობა, ვინაიდან იგი ენდო მხარის მიერ წარმოდგენილ 4 წლის წინ შეგროვებულ დოკუმენტაციას და საჯარო რეესტრში უძრავი ქონების სამართლებრივი მდგომარეობის შემოწმების გარეშე შეუდგინა მას ყადაღის მოხსნის შესახებ განცხადება და აწარმოა საქმე სასამართლოში, მაშინ როდესაც უძრავ ქონებაზე აღარ არსებობდა უზრუნველყოფის ღონისძიება.

3.4 საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ მართალია იმ დროს, როდესაც ადვოკატი ნ. ქ. უწევდა საადვოკატო მომსახურებას მას შეწყვეტილი ჰქონდა ადვოკატთა ასოციაციის წევრობა, მაგრამ ვინაიდან აღნიშნულიც შესახებ არ ფლობდა ინფორმაციას, მოქმედებდა, როგორც ადვოკატი და საჩივრის შემოტანისას შ. შ. უკვე აღდგენილი ჰქონდა წევრობა, კოლეგიამ შესაძლებლად ჩათვალა ემსჯელა ადვოკატ შ. შ. მიერ ეთიკის კოდექსის სავარაუდო დარღვევებზე.

II სამოტივაციო ნაწილი

4. საქმის ფაქტობრივი გარემოებები:

საჩივრის ავტორისა და მოპასუხე ადვოკატის პოზიციებიდან, ასევე საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, ეთიკის კომისიამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ეთიკის კომისიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოებები:

4.1 შ. შ. ნ. ქ. საადვოკატო მომსახურება სამოქალაქო საქმეზე, კერძოდ უძრავ ქონებაზე არსებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმებასთან და მის სახელზე აღრიცხვასთან დაკავშირებით გაუწია 2009 წელს.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. საჩივრის ავტორის ახსნა–განმარტება (გვ.2, აბზაცი 1.2)
2. ადვოკატის ახსნა–განმარტება (გვ. 4, აბზაცი 2.6, 2.7)

4.3 შ. შ. მიიღო რა კლიენტისაგან უძრავ ქონებასთან დაკავშირებით საბუთები

2005 წლის მდგომარეობით, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების მოთხოვნით მიმართა სასამართლოს ისე რომ არ აუღია საჯარო რეესტრის ახალი ამონაწერი.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

ადვოკატის ახსნა-განმარტება (გვ.4, აბზაცი 2.4)

4.4 სასამართლო განჩინებით დაკმაყოფილდა ადვოკატის მოთხოვნა და გაუქმდა უძრავ ქონებაზე არსებული ყადაღა, ხოლო საჩივრის ავტორს ყადაღის შეწყვეტის რეგისტრაციაზე უარი ეთქვა საჯარო რეესტრის გადაწყვეტილებით იმ საფუძვლით, რომ 2009 წლის ნოემბრის მდგომარეობით უძრავ ქონებაზე ყადაღა არ იყო რეგისტრირებული.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. 2011 წლის 16 ოქტომბრის განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების თაობაზე №9418
2. 2009 წლის 20 ნოემბრის გადაწყვეტილება რეგისტრაციაზე უარის თქმის თაობაზე

4.5 შ. შ. 2009 წლის ნოემბერში შესთავაზა ნ. ქ., რომ თუკი არსებობდა ადამიანი, რომელსაც სჭირდებოდა სამართლებრივი დახმარება, მიეყვანა მასთან, ხოლო მიღებული ჰონორარის ნახევარს მას გადაუხდიდა, სასამართლო გადაწყვეტილებით დაკისრებული თანხის მისთვის გადახდის მიზნით.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. საჩივრის ავტორის ახსნა–განმარტება (გვ. 2, აბზაცი 1.10; გვ.3, აბზაცი 1.16)
2. ადვოკატის ახსნა–განმარტება (გვ.4, აბზაცი 2.10)

4.6 შ. შ. 2008 წლის 3 მაისიდან 2010 წლის 21 იანვრამდე შეწყვეტილი ჰქონდა ადვოკატთა ასოციაციის წევრობა.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. ადვოკატის ახსნა–განმარტება (გვ. 5, აბზაცი 2.17; გვ. 6, აბზაცი 2.21)
2. ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2008 წლის 3 მაისის ბრძანება
3. ადვოკატთა ასოციაციის 2010 წლის 27 იანვრის ცნობა

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა–განმარტებები და მიიჩნევს, რომ შ. შ. არ უნდა დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა.

6. სამართლებრივი შეფასება

6.1 ეთიკის კომისიამ იმსჯელა ადვოკატ შ. შ. მიერ შემდეგი მუხლების დარღვევაზე:

ა) ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე–8 მუხლის მე–10 პუნქტი ,,ადვოკატს არა აქვს უფლება გადაუხადოს გადასახადი, საკომისიო ან ნებისმიერი სხვა სახის კომპენსაცია პირს, კლიენტისათვის პირადად მისი რეკომენდირებისათვის".

ბ)ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტი ,,ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა"

გ) ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-11 პუნქტი ,,ადვოკატი უნდა ცდილობდეს მიაღწიოს დავის მინიმალური დანახარჯებით გადაწყვეტას, საქმის გარემოებების გათვალისწინებით, კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე ადვოკატმა კლიენტს უნდა ურჩიოს საქმის მორიგებით დასრულება."

6.2 ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ადვოკატის მხრიდან რეკომენდირების გადასახადის გადახდის აკრძალვა ეხება არა მხოლოდ გადასახდის, საკომისიოს ან ნებისმიერი სხვა სახის კომპენსაციის გადახდას, არამედ აღნიშნულის დაპირებას და/ან შეთავაზებასაც.

6.3 მოცემულ შემთხვევაში, როგორც საჩივრის ავტორის პრეტენზიიდან ირკვევა და რასაც შემდგომ თავად ადვოკატიც ადასტურებს მან ყოფილ კლიენტს ნ. ქ. შესთავაზა თუ მის გარშემო არსებობდა ადამიანი, რომელსაც ესაჭიროებოდა სამართლებრივი დახმარება რეკომენდაცია გაეწია მისთვის, როგორც ადვოკატისთვის. ,,ნებისმიერი სხვა სახის კომპენსაციის" გადახდის შეპირებას წარმოადგენდა ის გარემოება, რომ ადვოკატმა აღნიშნული რეკომენდაციის სანაცვლოდ საჩივრის ავტორს შესთავაზა რომ მიყვანილი კლიენტისაგან საადვოკატო მომსახურებისთვის მიღებული ჰონორარიდან გადაუხდიდა მას იმ თანხას, რომლის დაბრუნებასაც სთხოვდა ყოფილი კლიენტი. კომპენსაციის გადახდის აკრძალვა მოიცავს, რომ რეკომენდატორ პირს ადვოკატი არ უნდა დაპირდეს არანაირ ქონებრივ სარგებელს. ამ შემთხვევაში ნორმა მოიცავს არა მარტო ქმედებას, არამედ ამ ქმედების დაპირებას, იმის მიუხედავად შემდგომში შეასრულა თუ არა ადვოკატმა აღნიშნული ქმედება.

6.4 განხილვის კოლეგია აღნიშნავს, რომ საპროცესო კოლეგიამ ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრისას იხელმძღვანელა ადვოკატის სუბიექტური დამოკიდებულების გათვალისწინებით ჩათვალა რა, რომ შ. შ., რომლისთვისაც უცნობი იყო ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტის თაობაზე 2009 წელს ნ. ქ. სამართლებრივ მომსახურებას უწევდა იმ რწმენით, რომ იყო ადვოკატი და მას ევალებოდა იმ პრინციპების დაცვა რაც გათვალისწინებულია ,,ადვოკატთა შესახებ" კანონითა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით. ამასთან, საჩივრის ეთიკის კომისიაში შემოსვლისას იგი აღდგენილი იყო ადვოკატთა ასოციაციის წევრად და ეთიკის კომისია უფლებამოსილი იყო ემსჯელა მის მიერ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის შესაძლო დარღვევის თაობაზე.

6.5 განხილვის კოლეგიის მოსაზრებით, დისციპლინური წარმოებისათვის გადამწყვეტია ობიექტური ფაქტორი, კერძოდ სადავო ქმედების განხორციელების დროს ადვოკატი იყო თუ არა ადვოკატთა ასოციაციის წევრი. როგორც ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს ბრძანებით და ადვოკატთა ასოციაციის მიერ გაცემული ცნობით დგინდება სადავო ქმედების განხორციელების დროს 2009 წლის ნოემბერში ადვოკატ შ. შ. შეწყვეტილი ჰქონდა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-11 მუხლის 1-ლი პუნქტის პირველი წინადადების შესაბამისად, ,,ეთიკის კოდექსის მოქმედება ვრცელდება ადვოკატებზე". ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად ,,ადვოკატი არის თავისუფალი პროფესიის პირი, რომელიც ემორჩილება მხოლოდ კანონსა და პროფესიული ეთიკის ნორმებს და გაწევრიანებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში". შესაბამისად, განხილვის კოლეგია ვერ მიიჩნევს იმ პირს ადვოკატად და ვერ გაავრცელებს მასზე ეთიკის კოდექსის მოქმედებას, რომელსაც სადავო ქმედების განხორციელებისას შეწყვეტილი აქვს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა, რომც დაუშვას ის გარემოება, რომ აღნიშნულის თაობაზე ცნობილი არ იყო თავად შ. შ. და ის სუბიექტურად მოქმედებდა როგორც ადვოკატი. შ. შ. სადაო ქმედება არ იყო განგრძობადი, მის მიერ ეთიკის კოდექსის 8.10 მუხლის დარღვევა მოხდა იმ დროს, როცა ის არ იყო ადვოკატი.

6.6 განხილვის კოლეგია მიზანშეწონილად მიიჩნევს საპროცესო კოლეგიის მიერ შ. შ. მიმართ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის სავარაუდო დარღვევის დადგენის თაობაზე განმარტოს, რომ ეთიკის კომისიამ 2011 წლის 29 სექტემბრის კრებაზე #05/11 მიიღო გადაწყვეტილება, რომ მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თანახმად ადვოკატის მიერ კვალიფიციური და კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის ვალდებულების შეფასებისას ყურადღება მიექცეს ადვოკატის მიერ საქმიანობის შესაბამის სფეროში სერთიფიკატის არსებობასა და მის კეთილსინდისიერებას კლიენტისათვის მომსახურების გაწევისას. მოცემულ შემთხვევაში საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრთა რეესტრში არსებული მონაცემების თანახმად, შ. შ. წარმოადგენდა საერთო სპეციალიზაციის მქონე ადვოკატს და მას უფლება ჰქონდა დაეცვა კლიენტის ინტერესები სამოქალაქო სამართლის საქმეზე. რაც შეეხება, ადვოკატის მიერ საადოკატო მომსახურების კეთილსინისიერად განხორციელების ფაქტს საქმის გარემოებებიდან გამომდინარე ვერ დგინდება მისი არაკეთილსინდისიერება. იგი მოქმედებდა კლიენტთან ნ. ქ. შეთანხმებით: გაუწია მას სამართლებრივი კონსულტაცია, შეუდგინა უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების თაობაზე განცხადება, სასამართლოში განახორციელა წარმომადგენლობა, რაც კლიენტისათვის სასურველი შედეგით დასრულდა. გაუქმდა ნ. ქ. უძრავ ქონებაზე დადებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება. რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ ადვოკატმა არ გადაამოწმა საჯარო რეესტრში უძრავი ქონების სამართლებრივი მდგომარეობა და ისე მიმართა სასამართლოს, არ ჩაითვლება ადვოკატის არაკეთილსინდისიერებად. თავის მხრივ სასამართლომაც იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და ისე დააკმაყოფილა განცხადება, რომ არ მოუთხოვია განმცხადებლისაგან საჯარო რეესტრის ახალი ამონაწერი. აღნიშნულიდან გამომდინარე, განხილვის კოლეგია ვერ გაიზიარებს საპროცესო კოლეგიის მოსაზრებას და მიუთითებს, რომ ვერ დადასტურდა ადვოკატის მიერ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილის დარღვევა.

6.7 განხილვის კოლეგიამ ასევე იმსჯელა ადვოკატის მიერ დავის მინიმალური დანახარჯით გადაწყვეტის პრინციპზე და აღნიშნავს, რომ ადვოკატის ვალდებულება შეეცადოს საქმე მინიმალური დანახარჯით გადაწყვეტოს ირღვევა იმ შემთხვევეაში, როდესაც დავის

მოგვარების ხარჯიან და ნაკლებად ხარჯიან გზას შორის ადვოკატი კლიენტის ინფორმირებისა და თანხმობის გარეშე ირჩევს ხარჯიან გზას. საქმის გარემოებებიდან გამომდინარე საჩივრის ავტორის მოთხოვნის უძრავ ქონებაზე არსებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების თაობაზე სასამართლოსადმი მიმართვამდე საჯარო რეესტრში უძრავი ქონების სამართლებრივი მდგომარეობის გარკვევა წარმოადგენდა ნაკლებად ხარჯიან გზას, ვინაიდან აღარ იარსებებდა სასამართლოსადმი მიმართვის აუცილებლობა. საქმის ასეთი შედეგით დასრულების მიუხედავად ეთიკის კომისიის შეფასებით ადვოკატს არ დაურღვევია დავის მინიმალური დანახარჯით გადაწყვეტის პრინციპი. ეთიკის კომისიის მოსაზრებით, იმის გათვალისწინებით, რომ კლიენტის მიერ მიწოდებული საბუთების საფუძველზე ადვოკატისთვის ცნობილი იყო უძრავ ქონებაზე ყადაღის არსებობის შესახებ, არც კლიენტს უთხოვია მისთვის აღნიშნული ინფორმაციის გადამოწმება ის, რომ ადვოკატმა დამოუკიდებლად არ გადაამოწმა ენდო რა კლიენტის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციას ვერ ჩაითვლება დავის მინიმალური დანახარჯით გადაწყვეტის პრინციპის დარღვევად. ადვოკატის ქმედებაში არ ვლინდება განზრახვა ან უხეში გაუფრთხილებლობა, რაც აღნიშნული პრინციპის დარღვევის წინაპირობას წარმოადგენს. ამასთან, ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ უძრავ ქონებაზე არსებული ყადაღის მოხსნის შესახებ ინფორმაცია საჯარო რეეტრის დღეს არსებული სისტემით ,,საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის ა) ქვეპუნქტის თანახმად ხელმისაწვდომია მხოლოდ იმ პირთათვის ვინც განცხადებით მიმართავს და მომსახურების შესაბამის საფასურს გადაიხდის საჯარო რეესტრის ამონაწერის განახლების მიზნით. ვინაიდან სასამართლო უძრავ ქონებასთან დაკავშირებით განცხადების მიღებისას როგორც წესი ითხოვს საჯარო რეესტრის განახლებულ ამონაწერს საადვოკატო პრაქტიკაში გავრცელებულია ამონაწერის განახლება სასამართლოს მიერ მოთხოვნის შემთხვევაში და არა წინასწარ. ეთიკის კომისიამ გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ სასამართლოს არ მოუთხოვია ახალი საჯარო რეესტრის ამონაწერი ისე დააკმაყოფილა განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების თაობაზე.

6.8 ეთიკის კომისია სასამართლოს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, რომლითაც ადვოკატს დაეკისრა კლიენტის მიერ გადახდილი თანხის უკან დაბრუნება აღნიშნავს, რომ ადვოკატსა და კლიენტს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულებები და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა სამოქალაქო სამართლით რეგულირდება, რაც განსხვავდება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის სამართლისგან და ადვოკატის ქმედებათა შეფასებისას ვერ დაეყრდნობა აღნიშნულ სასამართლო გადაწყვეტილებაში მოცემულ მსჯელობას.

6.9 ეთიკის კომისიამ გაითვალისწინა კვალიფიციური წარმომადგენლობის ვალდებულების დარღვევის თაობაზე ადვოკატის აღიარება, რომ დასაბრუნებელი აქვს ხელშეკრულებით მიღებული ჰონორარის ნაწილი, ასევე ის გარემოებები, რომ არ წარადგინა შესაგებელი კლიენტის მიერ შეტანილ სარჩელზე და ამ ეტაპზე დაკისრებული თანხის საჩივრის ავტორისთვის გადაუხდელობა გამოწვეულია მისი მძიმე ფინანსური მდგომარეობით.

6.10 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ ადვოკატ შ. შ. მიერ დარღვეულია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე–8 მუხლის მე–10 პუნქტი რეკომენდაციისთვის გადასახადის დაუშვებლობის შესახებ, თუმცა ადვოკატს ვერ დაეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა, ვინაიდან სადავო ქმედების ჩადენის დროს შეწყვეტილი ჰქონდა ადვოკატთა ასოციაციის წევრობა. რაც შეეხება პირის მიერ საადვოკატო მომსახურების

განხორციელების შეფასებას შესაბამისი უფლებამოსილების გარეშე, ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ ეს საკითხი არ შედის მის კომპეტენციაში და ამის თაობაზე განმცხადებელს შეუძლია მიმართოს შესაბამის ორგანოებს.

III სარეზოლუციო ნაწილი

განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა რა ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 1–ლი მუხლის მე–2 პუნქტით; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მეათე პუნქტით; ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების მე-5 მუხლის მე–7 პუნქტითა და მე–11 მუხლის 1–ლი პუნქტით გადაწყვიტა:

1. ადვოკატ შ. შ. არ დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა.
2. განხილვის კოლეგიის გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს ადვოკატს გადაწყვეტილების გამოტანიდან 5 დღის განმავლობაში.
3. გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ემზარ პაქსაძე/

კოლეგიის წევრი: /იური ვაზაგაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ირაკლი კორძახია/